

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დაცვასა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის ურთიერთობის შესახებ

ჰანს-იოაკიმ ჰეინტიცი*

მაშინ, როცა სახელმწიფოებს არ აქვთ სურვილი ხელი შეუწყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებას, და, განსაკუთრებით კი მისი იმპლემენტაციის მექანიზმებს, ჩნდება კითხვა, რამდენად განვითარდა სამართლის მომიჯნავე დარგები და რა სახის ზემოქმედება შეიძლება მათ მოახდინონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე.¹ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინაიდან დღეისათვის ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ადამიანობის საერთო კეთილდღეობისთვის და იმ ფასეულობებს განამტკიცებს, რომელთა უგულებელყოფაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია, ომის დროსაც კი.² მაშინ, როცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც წარმოშობით, ისე იმ სიტუაციებით, რომლებშიც ისინი გამოიყენება, სამართლის ეს ორი დარგი იზიარებს ინდივიდების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანს ყველა გარემოებაში.

ურთიერთობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს შორის

კლასიკური საჯარო საერთაშორისო სამართალი აღიარებდა მშვიდობიანობის სამართლისა და ომიანობის სამართლის განცალკევებას. საერთაშორისო ურთიერთობების მიხედვით, გამოიყენებოდა ან მშვიდობიანობის სამართლის ან ომის სამართლის *corpus juris*. 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიღებისა და ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი დოკუმენტების შექმნის შემდეგ ამგვარი ცალსახა დაყოფა შეიცვალა. მას შემდეგ, არსებობს ნორმები, რომლებიც მოქმედებენ როგორც მშვიდობის ისე ომის პერიოდში. ისევე, როგორც ყველა ინოვაცია, ეს განვითარებაც ყველასათვის მისაღები იმთავითვე არ ყოფილა. ისინი, ვინც ამ ორი დარგის განცალკევებას ემხრობოდნენ, უარყოფდნენ ადამიანის უფლებათა სამართლის ომის პერიოდში გამოყენებას, დაობდნენ რა, რომ ეს ნორმები და *jus in bello* ორ სხვადასხვა სფეროს წარმოადგენდა და მათი ერთად გამოყენება შეუძლებელი იყო.³

**მშვიდობისა და შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი, რურის უნივერსიტეტი, ბოკუმი, გერმანია. მადლობას ეუხდით დრ. ნოელ ჟინივეტს მისი შეუფასებელი რჩევებისა და მხარდაჭერისთვის, რომელიც მან ამ სტატიის მომზადებისას გამოიწვია.*

¹ ეს მოსაზრება შესაბამისობაშია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის "აგენდის" განცხადებასთან, რომლის მიხედვითაც "ურთიერთობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს შორის უნდა გააძლიერდეს". იხილეთ დევიდ ფორსაიტი, "1949 და 1999: უნევის კონვენციების შესაბამისობაში მოყვანა ცივი ომის შემდგომ პერიოდთან" წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, ნომერი 830, 1999 წელი, გვ. 271.

² კრისტიან ტომუშატი, "ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფოს მისი ნების საწინააღმდეგოდ ეკისრება", *Recueil des Cours*, N 241, ტომი IV/1993, Nijhoff, ჰააგა, 1994 წელი, გვ. 195.

³ იხილეთ ოტო კიმიჩი, "ადამიანების დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტებში", *Schutz der Menschen in bewaffneten Konflikten*, Beck, მიუნხენი, 1979 წელი, გვ. 28.

ასეთი პოზიცია გასაკვირია, რადგან კლასიკურ საჯარო საერთაშორისო სამართალში, ადამიანის უფლებათა საკითხები გათვალისწინებული იყო ბუნებითი სამართლის საფუძველზე. ამ კუთხით, ბლუნტშლი დაობდა 1872 წელს, რომ ომის გამოცხადება კი არ აუქმებდა სამართლებრივ წესრიგს, არამედ პირიქით "ჩვენ ვაღიარებთ, რომ არსებობს ბუნებითი ადამიანის უფლებები, რომლებიც აღიარებულია როგორც მშვიდობისას, ისე ომის პერიოდში...".⁴ უფრო მეტიც, 1907 წლის ჰააგის კონვენცია სახმელეთო ომის შესახებ იხსენიებს ხელშეკრულების მხარეებს როგორც "ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანობის ინტერესების სამსახურში მყოფთ".⁵ ამ განცხადებების ფონზე, ეჭვი შეგუპარება განცალკევების თეორიის სამართლიანობაში.

მიუხედავად ამისა, დაყოფის თეორია დღესაც სარგებლობს მხარდაჭერით. მაგალითისთვის, ცნობილი *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სახელმძღვანელო* საერთოდ არ განიხილავს "შეიარაღებულ კონფლიქტში ადამიანის უფლებათა" საკითხს.⁶ ამ კუთხით, შეიძლება დავა იმ საკითხზე, რომ სახელმძღვანელო გვერდს უვლის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოხატულ აზრს საქმეში "ბირთვული იარაღის შესახებ საკონსულტაციო რჩევა"⁷ და "სამართლებრივი შედეგების შესახებ საკონსულტაციო რჩევა".⁸ ამ საკონსულტაციო რჩევებში სასამართლომ ცალსახად უარყო აზრი, რომ 1966 წლის 19 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი გამოიყენება მხოლოდ მშვიდობიან პერიოდში. ადამიანის უფლებათა შესაბამისი დოკუმენტები აღასტურებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებას ამ საკითხზე. მართლაც, ეს ხელშეკრულებები შეიცავენ ნათელ მითითებებს სახელმწიფოთა ვალდებულების შესახებ დაიცვან ადამიანის უფლებები შეიარაღებული კონფლიქტის დროს. მაგალითად, 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეთხუთმეტე მუხლი ეხება ადამიანის უფლებათა შესახებ ნორმების ბედს იმ სიტუაციებში, როცა ერის სიცოცხლე საფრთხეშია ომის ან სხვა სახის საჯარო საგანგებო მდგომარეობის გამო. ასეთ სიტუაციებში სახელმწიფოს უფლება აქვს მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შემცირებას. თუმცა, კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების შემცირება დაშვებულია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. ზოგიერთი უფლება, რომლებიც პირდაპირ არის მუხლში ჩამოთვლილი არ შეიძლება შეიზღუდოს (სიცოცხლის უფლება, რწმენის თავისუფლება, წამების აკრძალვა). მათ უწოდებენ ხელშეუხებელ უფლებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ძალაშია ყველა გარემოებაში, გამონაკლისის გარეშე. შესაბამისად, იკვეთება ტრადიციული საზღვარი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედებს და იმ სამართალს შორის, რომელიც მშვიდობიან პერიოდში

⁴ იოჰან კასპარ ბლუნტშლი, "ცივილიზებული სახელმწიფოების თანამედროვე სამართალი", მესამე გამოცემა, ნორდლინგენი, 1878 წელი, პარაგრაფი 529.

⁵ პრეამბულა, IV კონვენცია ხმელეთზე ომის კანონებისა და ჩვეულებების პატივისცემის შესახებ, ხელმოწერილი ჰააგაში, 1907 წლის 18 ოქტომბერს, დიტრის შინდლერისა და ჯირი ტომანის წიგნში, *შეიარაღებული კონფლიქტის სამართალი: კონვენციების, რეზოლუციების და სხვა დოკუმენტების კრებული*, მეოთხე გამოცემა, ნიჯპოფი, ლეიდენი, 2004 წელი, გვ. 55.

⁶ დიტერ ფლეკი, *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სახელმძღვანელო*, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, ოქსფორდი, 1995 წელი.

⁷ *ბირთვული იარაღის გამოყენების ან ამის მუქარის კანონიერების შესახებ, საკონსულტაციო რჩევა*, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, 1996 წელი, პარაგრაფი 26.

⁸ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ, საკონსულტაციო რჩევა, 2004 წლის 9 ივლისი, პარაგრაფები 102-106. ჯერ-ჯერობით გამოკვეთებული არ არის, მაგრამ ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ვებ-გვერდზე.

მოქმედებს. "საზღვრის გადაკვეთას" ადასტურებს 1949 წლის 12 აგვისტოს ქენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლიც, რომელიც შეიცავს იმ უფლებებს, რომელთა პატივისცემაც ყველა გარემოებაში სავალდებულოა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს უფლებები ფართოდ ფარავს ხელშეუხებელ უფლებებს. სწორედ ამან გამოიწვია, რომ აკადემიური წრის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს "თურქუს დეკლარაცია",⁹ რომელიც მოითხოვდა, რომ სამართლებრივად რუსი ზონები – მშვიდობიანობის სამართლისა და ომის სამართლის საზღვრებზე – შევსებულიყო ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კუმულატიური გამოყენებით, რაც თავის მხრივ, სულ ცოტა, მინიმალური ჰუმანიტარული სტანდარტების გარანტი იქნებოდა.¹⁰

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია არ გახლავთ ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელიც ადამიანის უფლებათა ომის პერიოდში მოქმედებას ადგენს. ადამიანის უფლებათა რეგიონალური ინსტრუმენტი, 1969 წლის 22 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, 27-ე მუხლში ადგენს ნუსხას ხელშეუხებელი უფლებებისა. ადამიანის უფლებათა უნივერსალური ხელშეკრულებები ასევე შეეხება იმ უფლებებს, რომელთა ხელყოფაც აკრძალულია. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეოთხე მუხლი შეიცავს რეგიონალური ინსტრუმენტების მსგავს დებულებას საგანგებო სიტუაციების შესახებ.

ყველა ხსენებული ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტი ადგენს, რომ ადამიანის უფლებები წარმოადგენს ომისა და საგანგებო სიტუაციების მარეგულირებელი სამართლის განუყოფელ ნაწილს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან ყველა გარემოებაში დაიცვან ადამიანის ხელშეუხებელი უფლებები, რასაც ადგენს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები და თეირანში 1968 წელს გამართული ადამიანის უფლებათა პირველი მსოფლიო კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც საჯარო საერთაშორისო სამართალი უკვე იქცა ადამიანის უფლებათა სამართლის დარგად, რაც არეგულირებს "შეიარაღებულ კონფლიქტებში ადამიანის უფლებათა საკითხს".¹¹

1989 წელს მიღებული ბავშვთა უფლებების კონვენცია პირდაპირ უჭერს მხარს ამ მოსაზრებას. აქ ნათელია დამთხვევა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის. კონვენციის მუხლი 38(1) ავალდებულებს ხელშემკერველ სახელმწიფოებს პატივი სცენ და უზრუნველყონ პატივისცემა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ ნორმებისა, რომლებიც ბავშვების დაცვას ეხება. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულება შეიცავს დებულებას, რომლებიც არა მხოლოდ მოქმედებენ შეიარაღებულ კონფლიქტების დროს, არამედ, იმ სამართალშია გადმოცემული, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტებს არეგულირებს. ეს რეგულირება კიდევ უფრო დეტალურია, ვინაიდან მუხლები 38(2) , (3) და (4) იმეორებს იმ სტანდარტებს, რომლებიც ქენევის კონვენციების მეორე დამატებითი ოქმის 77-ე მუხლითაა განმტკიცებული და რომელიც ბავშვებთან მოპყრობას ეხება და მათ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობას ზღუდავს. ეს სტანდარტები, რომლებიც 1977 წელს

⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი E/CN.4/Sub.2/1991/55.

¹⁰ იხილეთ ალან როსასი და თეოდორ მერონი, "მინიმალური ჰუმანიტარული სტანდარტებით კონფლიქტებში რუსი ზონების დამარცხება", საერთაშორისო სამართლის ამერიკის ჟურნალი, ნომერი 2, 1995 წელი, გვ. 215.

¹¹ კრისტინა მ. სერნა, "ადამიანის უფლებები შეიარაღებულ კონფლიქტებში: რეგიონალური მთავრობათაშორისო ორგანოების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია", ფრიტც კალშოვენისა და ივ სანდოზის წიგნში *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია*, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ქენევა, 1989 წელი, გვ. 39.

მიიღეს, ბავშვების შეიარაღებულ კონფლიქტში პირდაპირ მონაწილეობას უშვებს მხოლოდ თხუთმეტი წლის ასაკის მიღწევიდან.

1989 წლის ბავშვთა დაცვის კონვენციის ცალსახად არადამაკმაყოფილებელი სტანდარტი ეწინააღმდეგება როგორც საჯარო საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებას, ისე თავად კონვენციის მიზნებს, რომელიც მისი მესამე მუხლის მიხედვითაც ემსახურება ბავშვის ინტერესებს (ეს უკანასკნელი კი პირველ მუხლში განმარტებულია როგორც პირი თვრამეტ წელს ქვემოთ). არარეალურია, რომ თხუთმეტი წლის ასაკის ბავშვის ინტერესებში იყოს საომარ მოქმედებებში პირდაპირი მონაწილეობა.

სამართლებრივ ლიტერატურაში ეს შეუსაბამობა აქტიურად იყო გაკრიტიკებული. მთავარ საკითხს წარმოადგენდა კითხვა თუ რატომ არ ადგენს 1989 წლის ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენცია უფრო უკეთეს დაცვას ვიდრე პირველი დამატებითი ოქმის 77-ე მუხლი, მაშინ როცა ეს დოკუმენტი პირველი დამატებითი ოქმის შემდეგ მთელი დეკადით გვიან იყო მიღებული და წარმოადგენს ინდივიდების დაცვის სფეროში მნიშვნელოვან პროგრესს.¹² ეს კიდევ უფრო დასანანი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვთა დაცვის შესახებ კონვენციის ტექსტის შემუშავებისას, ამ სფეროში გაუმჯობესების ოპონენტებმა (კერძოდ კი ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი და ერაყი) ვერ შეძლეს ძლიერი სამართლებრივი არგუმენტის მოყვანა თავიანთი პოზიციის დასაცავად. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თვლიდა, რომ არც გენერალური ასამბლეა და არც ადამიანის უფლებათა კომისია არ წარმოადგენდა შესაფერის ორგანოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის არსებული ნორმების გადასინჯვისთვის.¹³

თუმცა, ამერიკის არგუმენტი, რომელიც ეფუძნება ზემოთ ხსენებულ მშვიდობისა და ომის სამართლებს შორის, სულაც არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია უნდა ყოფილიყო ახალი, დამოუკიდებელი ხელშეკრულება და არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გადასინჯვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი სტანდარტები სავალდებულო უნდა ყოფილიყო ამ ინსტრუმენტის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის, რაც სრულიად დასაშვებია ხელშეკრულებითი სამართლის მიხედვით. ვინაიდან, ბევრს ემინოდა, რომ სტანდარტები დაიწვედა, ამერიკის არგუმენტი აღარ განხილულა. მოგვიანებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა თავის არგუმენტზე, როცა 1992 წელს მან ხელი მოაწერა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის ნებაყოფლობით ოქმს ბავშვების შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვის შესახებ. ეს ოქმი, როემლიც 2000 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუციით 54/263, ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ ყველა შესაძლებელი ზომა, რათა უზრუნველყონ, რომ თვრამეტ წლამდე ასაკის ბავშვები არ მიიღებენ პირდაპირ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. ის ძალაში 2002 წლის 12 თებერვალს შევიდა და დღეისათვის მისი რატიფიცირება 52-მა სახელმწიფომ მოახდინა. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ ცოტა მაშინ, როცა საქმე ამ სახელმწიფოებს ეხება, დაცვის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი უზრუნველყოფს.¹⁴

¹² ჰანს-იოაკიმ ჰაინტიცი, "ბავშვები საჭიროებენ მეტ დაცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალში – გაეროს ბავშვთა კონვენციის 38-ე მუხლთან დაკავშირებული უკანასკნელი განვითარებები და გამოწვევები წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობისთვის", ჰუმანიტარული სამართალი, ნომერი 3, 1995 წელი, გვ. 200.

¹³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი, E/CN.4/1989, გვ. 55, დამატება 1, გვ. 6.

¹⁴ ეს ასპექტი არ გაუთვალისწინებია მატე ჰაპპოლდს, "ნებაყოფლობითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა ჩართვის შესახებ", ჰორსტ ფიშერი, *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყოველწლიური გამოცემა*, ჰააგა, 2002 წელი, გვ. 242.

ბავშვთა უფლებების კონვენციის მაგალითი ამტკიცებს არა მხოლოდ იმას, რომ ომის სამართალი და მშვიდობის სამართალი კვეთს ერთმანეთს, არამედ იმასაც, რომ როცა განვიხილავთ საკითხს, თუ რა ნორმები ვრცელდება სახელმწიფოზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს, შეუძლებელია ავირიდოთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განხილვა. ეს სიტუაცია ამართლებს ამ ორი სფეროს თანხვედრას, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე "ამ ორი დარგისათვის ბუნებრივად საერთო ჰუმანიტარული პრინციპები".¹⁵ თანხვედრა აქ ნიშნავს გადაკვეთას დაცვის საკითხებში. თუმცა, უნდა გავითვალსწინოთ სამართლის ამ ორი დარგის განსხვავებები, რომლებიც ძირითადად პროცესუალურია.¹⁶ თანხვედრის პოზიცია იძლევა სამართლის ამ ორი დარგის კუმულატიური გამოყენების შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კუმულატიური მოქმედება

ზოგიერთი ვალდებულება ადამიანის უფლებათა სამართლიდან ძალაშია შეიარაღებული კონფლიქტის დროსაც. ეს სამართლის ამ ორი დარგის თანხვედრის შედეგია. მიუხედავად ამისა, მოცემულ საკითხზე არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი მოსაზრება. ავტორთა ნაწილი გამოდის სამართლის ამ ორი დარგის გაერთიანების წინააღმდეგ და ემხრობა კომპლემენტარობის თეორიას.¹⁷ ამ თეორიის მიხედვით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი არ წარმოადგენენ სამართლის იდენტურ დარგებს, ისინი უბრალოდ ავსებენ ერთმანეთს. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი ნაწილობრივ ემთხვევიან ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ამ საკითხს ადრე დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა, დღეისათვის ის ჩართულია საერთო ფასეულობების დადგენაში, რაც აღემატება სამართლებრივ არგუმენტებს და განსხვავებებს. მაგალითად, მან გამოაქვეყნა მიმოხილვის სპეციალურ გამოცემა, რომელიც ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის თანხვედრას.¹⁸ თანხვედრის თეორიის გავლენა თანდათან უფრო იზრდება. ის უბრალო კომპლემენტარობას სცდება და ცდილობს ადამიანის მაქსიმალურად ეფექტური დაცვა უზრუნველყოს სამართლის ამ ორი დარგის კუმულატიური გამოყენების გზით. შეიძლება შევეხოთ ადამიანის უფლებათა გაერთიანებულ კომპლექსს სხვადასხვა ინსტიტუციური ქოლგის ქვეშ.¹⁹

¹⁵ დეილ სტევენსი, "ადამიანის უფლებები და შეიარაღებული კონფლიქტი: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო რჩევები ბირთვული იარაღის შემთხვევაში", იაილის ჟურნალი ადამიანის უფლებათა სამართლის შესახებ, ნომერი 1, გვ. 2.

¹⁶ მელისა ჰ. სვერბერის მიხედვით ნაშრომში "საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ხარვეზის აღმოფხვრა მტრის ჯარებთან მებრძოლი საზღვარგარეთ დაკავებული ამერიკის მოქალაქეებისათვის", ამერიკის სისხლისსამართლებრივი მიმოხილვა, 2003 წლის ზამთარი, ადამიანის უფლებები წარმოიშობა ინდივიდისთვის სახელმწიფოს წინააღმდეგ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ მოქმედებს ინდივიდისთვის სახელმწიფოს წინააღმდეგ. იხილეთ ასევე ნოელ ქენივითი, "ვარვარინის საქმე : ინდივიდების სამართლებრივი მდგომარეობა როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებისა" სამხედრო ეთიკის ჟურნალი, ნომერი 2, 2004 წელი, გვერდები 181-187.

¹⁷ ჰანს-პეტერ გასერი, "ადამიანის უფლებები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში: საერთო საქმე თუ ურთიერთ გამორიცხვა?" საერთაშორისო სამართლის გერმანული ჟურნალი, ბერლინი, 2002 წელი, გვ. 162.

¹⁸ იხილეთ, დევიდ ფორსაიტი, გვ. 271. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის ადამიანის უფლებათა ქვეკომისია ასევე ეხება ამ თანხვედრას რეზოლუციაში 1989/26.

¹⁹ თეოდორ მერონი, *ადამიანის უფლებები შიდა ბრძოლებში: საერთაშორისო დაცვა*, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, კემბრიჯი, 1987 წელი, გვ. 28.

სახელმწიფოთა ბოლოდროინდელი პრაქტიკის გადახედვისას ვრწმუნდებით, რომ ეს უბრალოდ თეორია არ არის. მაგალითად გამოგვადგება ქუვეითი 1991 წელს და ერაყი 2003-2004 წლებში. სამართლის ორი დარგის კუმულატიური გამოყენება ქუვეითის შეიარაღებული კონფლიქტის დროს წარმოადგენდა "რეალურ და მნიშვნელოვან" შემთხვევას, ადგენდა თანხვედრის თეორიის პრაქტიკულ მნიშვნელობას, რომელიც 1990/91 წლებში ქუვეითის ოკუპირებულ რეჟიმში გამოიყენებოდა.²⁰ პარალელის გავლება შეიძლება ამ შემთხვევასა და 2003-2004 წლებში ერაყის სიტუაციას შორის. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1483 (2002), რომელიც ადგენს ერაყის ოკუპაციისა და რეკონსტრუქციის დროს მოქმედ ძირითად პრინციპებს, მოითხოვს, რომ ყველა "ჩართულმა" მხარემ დაიცვას საერთაშორისო სამართლით დაკისრებული ვალდებულებები, განსაკუთრებით შენევის კონვენციებისა, და მოითხოვს გენერალური მდივნისგან განსაკუთრებულ წარმომადგენლობას ერაყში ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობისათვის. ის უფრო შორს მიდის ვიდრე ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კუმულატიური მოქმედების დადგენა. კუმულატიური მოქმედების კუთხით სამ საკითხს უნდა გაესვას სახი:

- I. უფლებათა და ვალდებულებათა ინტერპრეტაცია სამართლის ორვე დარგს უნდა შეეხებოდეს. მაგალითად, რთულია ტერმინის "არაჰუმანიური მოპყრობა" ინტერპრეტირება შენევის მესამე კონვენციისგან განსხვავებული ფორმით, რადგან ის ადგენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამხედრო ტყვეთა ბანაკის კონტექსტში. მორეს მხრივ, შეუძლებელია საერთო მესამე მუხლის 1(გ) პუნქტის მოთხოვნის შერულება "ცივილიზებული თანამეგობრობის მიერ სავალდებულოდ აღიარებული სასამართლო გარანტიების გათვალისწინებით" სისხლის სამართლის პროცესში, ისე, რომ არ მიემართოს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებს.
- II. ადამიანის უფლებათა სამართალი აძლიერებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს სახელმწიფოთა ვალდებულებების უფრო ზუსტი ფორმულირებით. ამიტომ, ვალდებულებები, რომლებიც შენევის მეოთხე კონვენციის 55-ე მუხლიდან გამომდინარეობს და ჯანმრთელობის დაცვის საკითხს შეეხება, უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის გათვალისწინებით.²¹ გაუპატიურების, როგორც ომის წარმოების მეთოდის და როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით აკრძალული ქმედების წამებისგან განცალკევებისას, აუცილებლად უნდა მიემართოს ადამიანის უფლებათა იმ დებულებებს, რომლებიც გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციაშია გადმოცემული.²²
- III. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ეფექტურს ხდის ადამიანის უფლებათა სამართალს, მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მიმართ ვალდებულებების დადგენის გზით. მიუხედავად იმისა, რომ "გაუჩინარება", უდავოდ, ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს, შესაბამისი სამართალი ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოთა ვალდებულებების შესახებ საკმაოდ განუვითარებელია. შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, ოკუპანტი ხელისუფლება შენევის მესამე და მეოთხე კონვენციებით ვალდებულია გასცეს ინფორმაცია დაკავებული პირების შესახებ, ამაში იგულისხმება გარდაცვალების შესახებ და ამისი

²⁰ ვალტერ კალინი, *ადამიანის უფლებები ოკუპაციის პირობებში: ქუვეითის შემთხვევა*, ბერნი, 1994 წელი გვ. 27.

²¹ UNTS, Vol. 993, გვ. 3.

²² UNTS, Vol. 1465, გვ. 85, იხილეთ დებორა ბლათი, "გაუპატიურების წამების მეთოდად აღიარება", სამართლისა და სოციალური ცვლილებების ნიუ იორკის უნივერსიტეტის მიმოხილვა, ნომერი 4, 1995, გვ. 821.

მიზეზების შესახებ უწყება, იმ პირთა მოძიება, რომელთა ბედიც გაურკვეველია.²³

უშიშროების საბჭოს ანგარიშში, რომელიც ეხებოდა "შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას,²⁴ გაეროს გენერალურმა მდივანმა გამოთქვა აზრი, ინდივიდთა დაცვის ნორმების კუმულატიური გამოყენების შესახებ, სულ ცოტა იმ სამოქალაქო მოსახლეობისა, რომელიც უნევის კონვენციებში და მათ დამატებით ოქმებშია განმარტებული. ის სახელმწიფოებს ურჩევდა თანაბრად მოეხდინათ რატიფიცირება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის ინსტრუმენტებისა, ვინაიდან ეს სამი დარგი წარმოადგენს "შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ეფექტურ საშუალებებს".²⁵

პრაქტიკული კუთხით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვისადმი მიმართვის გახშირება წარმოადგენს სამოქალაქო კონფლიქტების რაოდენობის ზრდის შედეგს, რაც ხშირად ხდება რუხი ზონების გამო, ვინაიდან ასეთი სიტუაციების მარეგულირებელი ნორმები ამ სამართალში შედარებით ცოტაა. სამართლებრივ ლიტერატურაში დამაჯერებელი მითითებები წარმოდგენილი მხარეთა მიერ მათი გამოყენების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.²⁶

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი როგორც *lex specialis*

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კუმულატიური გამოყენების საკითხი აუცილებლად წამოწვევს ორმხრივი ურთიერთობის საკითხს. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ამ საკითხზე მსჯელობა მოუწია ბირთვული იარაღის შესახებ საკონსულტაციო რჩევების საქმეში,²⁷ რადგან ბირთვული იარაღის გამოყენების უკანონობის მხარდამტკიცებელი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი გამოყენება წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეექვსე მუხლის დარღვევას.²⁸ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეექვსე მუხლი ადგენს, რომ: "დაუშვებელია თვითნებურად ვინმეს სიცოცხლის მოსპობა". მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან მეექვსე მუხლი წარმოადგენს ხელშეუხებელ უფლებას, ის მოქმედებს საომარი მოქმედებების დროსაც, შესაბამისად აკრძალულია "თვითნებურად" ვინმეს სიცოცხლის მოსპობა. იმავე საქმეში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა შეიარაღებულ კონფლიქტებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უპირატესობა ადამიანის უფლებათა სამართალთან მიმართებით, რაც სამართლის ამ დარგის *lex specialis* სტატუსის მინიჭებას ნიშნავს. ტერმინი "თვითნებურად", შესაბამისად, უნდა განიმარტოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით.

²³ ვალტერ კელინი, ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 21, გვ. 27.

²⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი S/1999/957.

²⁵ იხილეთ უკანასკნელი კომენტარი, პარაგრაფი 36.

²⁶ დიტერ ფლეკი, "ჰუმანიტარული დაცვა არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნების წინააღმდეგ", ბერლინი, 2003 წელი, გვ. 78.

²⁷ ბირთვული იარაღის გამოყენებისა და გამოყენების მუქარის კანონიერება, იხილეთ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 8, გვ. 26.

²⁸ გრინვუდის მიხედვით, ამ აზრს გამოხატავდნენ მაღაზია, სალომონის კუნძულები და ეგვიპტე. იხილეთ კრისტოფერ ჯ. გრინვუდი, "*jus ad bellum* და *jus in bello* ბირთვული იარაღის საკონსულტაციო რჩევებში, ლორენს ბოისონის დე ჩაზორნისა და ფილიპ სანდის წიგნში, *საერთაშორისო სამართალი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და ბირთვული იარაღი*, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, კემბრიჯი, 1999, გვ. 253.

2004 წლის საკონსულტაციო რჩევები ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის შესახებ მეტ ნათელს ჰყენს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სიცოცხლის უფლების საკითხს და ადგენს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით.²⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტიც, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მეორე მუხლის კომენტარებში აღნიშნავს, რომ პაქტი მოქმედებს შეიარაღებული კონფლიქტების დროსაც, რომელზეც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები ვრცელდება. თუმცა, ადამიანის უფლებათა კომიტეტი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსავით პირდაპირი არ არის, რადგან ის ირიდებს *lex specialis* საკითხის განხილვას: "მაშინ, როცა პაქტის ზოგიერთი უფლების მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალური წესები უფრო მართებულია, პაქტის მიერ განმტკიცებული უფლებების ინტერპრეტაციისთვის სამართლის ორივე სფერო ატარებს კომპლემენტარულ სახეს და ერთი მეორეს არ გამორიცხავს".³⁰ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის *lex specialis* ხასიათი მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ზოგ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა სამართალს ვერ გამოვიყენებთ, მაგალითად, კომბატანტი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კანონიერი ქმედების ფარგლებში მოკლავს მტრის კომბატანტს, *jus in bello* – ს მიხედვით არ შეიძლება გასამართლდეს.³¹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაკეთებულმა შეფასებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა აკადემიურ წრეებში, ძირითადად იმ პოზიციის გამოხატვის ნაწილში, რომ ნორმები, რომლებიც მშვიდობიანი პერიოდისთვის იქნა შემუშავებული, კერძოდ ადამიანის უფლებები, არ შეიძლება "არაკვალიფიციური ფორმით" გამოიყენებოდეს შეიარაღებული კონფლიქტების მიმართ. ადამიანის უფლებები სიფრთხილით უნდა იქნას შეტანილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტრუქტურაში.³² შესაბამისად, ხაზი გაესვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უპირატესობას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის დებულებები ძალაში რჩება, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეოთხე მუხლშია აღნიშნული (და, ანალოგიურად, რეგიონალურ ხელშეკრულებებშიც) და დიდი მნიშვნელობის მატარებლები არიან. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო საკონსულტაციო რჩევებში მხარს უჭერს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლითა და ადამიანის უფლებათა სამართლით მინიჭებული დაცვის, როგორც ერთიანს საჭიროებას და საერთაშორისო წესების ორი კრებული სპარმონიზაციის საჭიროებასაც.

ასეთი პოზიცია აუცილებლად წარმოშობს *lex specialis derogat legis generalis* საკითხს. მისი უარყოფა მარტენის წესის საშუალებით შეიძლება, რაც მიღებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ისე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლითაც. მარტენის წესის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის მარეგულირებელი წესები არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის დაცვის საბოლოო უზრუნველყოფად, მაგრამ შეიძლება შევსებული იყოს ადამიანის უფლებათა სამართლით გათვალისწინებული

²⁹ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ, საკონსულტაციო რჩევა, 2004 წლის 9 ივლისი, იხილეთ კომენტარი ნომერი 9, პარაგრაფი 101.

³⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი CCPR/C74/CPR.4/Rev.6.

³¹ ლორენს ბუასონ დე ჩაზურნი და ფილლიპ სანდი, იხილეთ კომენტარი 29, გვ. 253.

³² მაიქლ ჯ. მათესონი, "მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ახრი ბირთვული იარაღის გამოყენების და გამოყენების მუქარის შესახებ", საერთაშორისო სამართლის ამერიკის ჟურნალი, ნომერი 3, 1997 წელი, გვ. 423.

დაცვით.³³ 1977 წლის პირველი დამატებითი ოქმის 77-ე მუხლიც ამტკიცებს "შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის პირდაპირობას"³⁴, როცა ის აღგენს შეიარაღებული კონფლიქტის მხარის ხელში აღმოჩენილი პირების მიმართ, რომ "ამ ნაწილის დებულებები წარმოადგენენ დამატებებს საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული წესებისა, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შეეხება".

შეიარაღებულ კონფლიქტებში ადამიანის უფლებების სამართლის მიერ სიცოცხლის უფლების ინტერპრეტაცია ადამიანის უფლებების რეგიონალურ ინსტრუმენტებში უფრო ნათელია, ვიდრე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეთხუთმეტე მუხლში, პირდაპირ არის მითითებული, რომ სიკვდილის შემთხვევები, როგორც ომის დროს განხორციელებული კანონიერი აქტების შედეგი, არ შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეორე მუხლით დაცული სიცოცხლის უფლების დარღვევად.

ადამიანის უფლებათა სამართლით გათვალისწინებული დაცვის იმპლემენტაციის მექანიზმები

როგორც სამართლებრივ ლიტერატურაში აღინიშნება, ადამიანის უფლებათა სამართლით გათვალისწინებული დაცვა არა მხოლოდ იზიარებს საერთო ფილოსოფიას საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან, არამედ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დეფიციტის მაკომპენსირებელი.³⁵ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნაკლებად განვითარებული საიმპლემენტაციო მექანიზმები, რომელთა დახასიათება შესაძლებელია როგორც საკმაოდ არაეფექტურის, წარმოადგენს მის ყველაზე დიდ სისუსტეს. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტიც და აკადემიური წრეების წარმომადგენლებიც ხშირად მიმართავენ საიმპლემენტაციო მექანიზმებს, რომლებიც მოცემულია გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულებებში, განიარაღების ხელშეკრულებებში და გარემოს დაცვის შესახებ ხელშეკრულებებში, - როგორც მაგალითებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფისათვის და სახელმწიფოებზე მისი გავრცელებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმპლემენტაციის ამ მექანიზმებში არის სახელმწიფოთა ანგარიშვალდებულების პროცედურები.³⁶

ყველაზე საინტერესო ამ შემთავაზებაში ის არის, რომ აკადემიური წრეების წარმომადგენლები ემხრობიან ანგარიშგების ახალ პროცედურებს და ამით ამ მექანიზმების გავრცობას უჭერენ მხარს. ეს იდეა დამაჯერებლად არ გამოიყურება, რადგან ადამიანის უფლებათა სფეროში უკვე არსებული მექანიზმების რაოდენობა

³³ იხილეთ ჰაინრიხ ბ. რეიხანი "ადამიანის უფლებათა სტანდარტი შეიარაღებულ კონფლიქტში" კრისტოფერ სვინარსკის, *კვლევები და ესეები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში და წითელი ჯვრის პრინციპები ჟან პიქტეს პატივსაცემად*, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და ნიჯჰოფი, ქენევა და ჰააგა, 1984 წელი, გვ. 773.

³⁴ Silja Vöneky, *Die Fortgeltung des Umweltvölkerrechts in internationalen bewaffneten Konflikten*, სპრინგერი, ბერლინი, 2001 წელი, გვ. 286.

³⁵ ჯუდიტ გარდამი, "მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წვლილი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში", *ლეიდენის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი*, ნომერი 2, 2001 წელი, გვ. 353.

³⁶ კრისტოფ დრევიჩი, "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ანგარიშვალდებულების სისტემის შესაძლო ფორმა: საკითხები, რომლებიც საჭიროებენ განხილვას", ბერლინ ფერლაგი, ბერლინი, 2001 წელი, გვ. 73.

ისედაც ართულებს შინაარსზე ორიენტირებას და გამეორებების თავიდან აცილებას. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრი სახელმწიფო ვერ ახერხებს ანგარიშის დროულად წარდგენას, ძირითადად რესურსების არქონის გამო. მაგალითად, სურინამს გააჩნია ადამიანის უფლებათა კომიტეტის ოთხი ანგარიშის დავალიანება და ანტი-დისკრიმინაციული კომიტეტის რვა ანგარიშის დავალიანება. მთლიანობაში, 44 წევრ სახელმწიფოს არ წარუდგენია ადამიანის უფლებათა კომიტეტში ყოველ ხუთ წელიწადში წარსადგენი ანგარიში და 68 ანგარიში ხუთ წელზე მეტი ხნით იგვიანებს.³⁷ ამ დილემის გამო გაეროს გენერალურ მდივანს მოსთხოვეს ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც სახელმწიფოთა ანგარიშების პროცედურების რაციონალიზებას შეძლებდა. ამ საკითხზე 2003 წელს მოწვეული იყო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა ანგარიშების პროცედურების კონსოლიდირებას და გაძლიერებას.³⁸

გაეროს ანგარიშების პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემების ფონზე, პრაქტიკულად არ ჟღერს შემოთავაზება, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის შეიქმნას ახალი ანგარიშების პროცედურა. დღევანდელი მდგომარეობით, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა არსებული პროცედურების მრავალდანიშნულებიანი ფორმით გამოყენება. ვინაიდან ადამიანის უფლებათა სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული დაცვა ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, შესაძლებელი იქნებოდა ასეთი მრავალმხრივი გამოყენებაც.³⁹ ამ საკითხს ამტკიცებს მომდევნო აბზაცები, რომლებიც რეალურ პრაქტიკას განიხილავენ.

ინფორმაცია საჯარო საგანგებო მდგომარეობის შემთხვევებში

ცნობილია, რომ განსაკუთრებით ომისა და სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა ერის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს და მასობრივ მკვლელობებს.⁴⁰ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთ სიტუაციებში ადამიანის უფლებათა დაცვის ზედამხედველობა. საგანგებო მდგომარეობების ეს გამოწვევა კარგად რეგულირდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები, რომლებიც საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებენ, ვალდებული არიან 4(3) მუხლის საფუძველზე შეატყობინონ გაეროს გენერალურ მდივანს ადამიანის იმ უფლებათა შესახებ, რომელთა შეზღუდვასაც აპირებენ და მათი შეზღუდვის მიზეზების შესახებ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია შეამოწმოს საგანგებო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების არსებობა და, თუ სჭირთა, მოითხოვოს სპეციალური ანგარიში. ჯერ კიდევ 1981 წელს კომიტეტმა მიიღო "ზოგადი კომენტარი" მეოთხე მუხლით დადგენილი სახელმწიფოთა ვალდებულებების ინტერპრეტაციის შესახებ. საგანგებო მდგომარეობების სამართლის არაორდინალური და დროებითი ხასიათის ხაზგასმით, ის სახელმწიფოებისგან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე ანგარიშის წარდგენას მოითხოვდა და ავალდებულებდა იმის უზრუნველყოფას, რომ ხელშეუხებელი უფლებები დაცული

³⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი HRI/ICM/2003/3 პარაგრაფი 15.

³⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი HRI/ICM/2003/4.

³⁹ ჰამპსონი ამ მიდგომას ემხრობოდა ჯერ კიდევ 1992 წელს: ფრანსუა ჯ. ჰამპსონი, "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მანქანის გამოყენება შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის უზრუნველყოფისთვის", სამხედრო სამართლის მიმოხილვაში, 1992 წელი, გვ. 118.

⁴⁰ ვერა გოულანდ-დებასი, "სიცოცხლის უფლება და გენოციდი: სასამართლო და საერთაშორისო საჯარო პოლიტიკა", ლორენს ბუასონ დე ჩაზურნის და ფილიპ სანდის წიგნში, ზემოთ მოცემული კომენტარი 29, გვ. 324.

ყოფილიყო.⁴¹ კომიტეტი აღნიშნავდა, რომ უფლებათა შეზღუდვის უფლებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ მოცემული გარემოებებით გამოწვეული აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში. ამ კუთხით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი იყენებს პროპორციულობის პრინციპს, რაც ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციაც აღიარებს ინფორმირების ვალდებულებას. 15(3) მუხლის მიხედვით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ინფორმირებული უნდა იყოს საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ეს ვალდებულება სერიოზულ ხასიათს ატარებს, რადგან ინდივიდმა შეიძლება შეიტანოს სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც მისი უფლებები შელახა. თუ სახელმწიფომ აუწყა გენერალურ მდივანს უფლებათა შეზღუდვის შესახებ, ინდივიდს არ აქვს უფლება იჩივლოს შეზღუდული უფლების დარღვევის შესახებ. ინფორმაცია წვერი-სახელმწიფოს მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება ევროპის საბჭოს მიერ. ევროპული პროცედურა მოგვიანებით გაიმეორა ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა კონვენციამ 27(3) მუხლში, რომელიც ასევე ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური მდივნის ინფორმირების შესახებ.

ინფორმირების ვალდებულება წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ადამიანის უფლებათა სამართალში, ისე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში (იმ ნაწილში, რომელში ხდება სამართლის ამ ორი დარგის თანხვედრა). ამ საკითხს ეხება ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გაეროს გენერალური ასამბლეისთვის წარდგენილი ერთ-ერთი უკანასკნელი ანგარიში, რომელიც აღნიშნავს, რომ "როცა ადგილი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტს, როგორც შიდა ისე საერთაშორისო სახის, რომელიც ეხება პაქტის ხელშემკერდ სახელმწიფოს, კომიტეტი შეამოწმებს თუ რამდენად იცავენ ხელშემკერდი სახელმწიფოები პაქტით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს".⁴² ამ პროცედურის მნიშვნელობა აღსანიშნავია იმ კუთხით, რომ სახელმწიფოებს მოუწევთ ადამიანის უფლებათა სამართლის შეზღუდვის გამართლება. ნეგატიურ მხარეს ის წარმოადგენს, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტი იმდენად გადატვირთულია პერიოდული ანგარიშებით, რომ საგანგებო მდგომარეობების შესახებ შეტყობინებების შესამოწმებლად რჩება დრო. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეფექტური ზედამხედველობის მიღწევა შესაძლებელია არა ახალი პროცედურებით, არამედ საქმის უკეთესი ორგანიზებით.

პროცედურები ინდივიდუალური სარჩელებისთვის

საერთაშორისო დონეზე არ არსებობს პროცედურები ინდივიდუალური სარჩელებისთვის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების მსხვერპლთათვის. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ქნი დოსვალდ-ბეკი მიიჩნევს "ტრუიზმს": საერთაშორისო სამართლის პირველადი დანიშნულებაა დაარეგულიროს ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის.⁴³ თუმცა, ადამიანის უფლებათა სამართალი გარკვეულ ძალდატანებას მაინც ახდენს სახელმწიფოებზე, იმდენად, რამდენადაც ის ითვალისწინებს საჩივრების საერთაშორისო პროცედურებს.

⁴¹ მანფრედ ნოვაკი, *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის კომენტარი*, ენგელი, კელი, 1993 წელი, გვ. 81.

⁴² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი A/57/40, პარაგრაფი 29.

⁴³ ლუის დოსვალდ-ბეკი, "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია მომავლის ომებში", მაიკლ ნ. შმიტის და ლესლი ს. გრინის წიგნში, *შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი მომავალ მილენიუმში*, ამერიკის სამხედრო-საზღვაო აკადემია, ნიუპორტი, 1998 წელი, გვ. 52.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 149 ხელშეკრული სახელმწიფოდან 104-მა სახელმწიფომ მოახდინა პაქტის ნებაყოფლობითი ოქმის რატიფიცირებაც, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლს უფლებამოსილებას ანიჭებს მიმართონ ადამიანის უფლებათა კომიტეტს მას შემდეგ რაც ამოწურავენ ეროვნულ ინსტანციებს. ადამიანის უფლებათა კომიტეტი განიხილავს, თუ რამდენად მოხდა მომჩივანის უფლებების შელახვა. პაქტის პირველი მუხლის თანახმად, ტესტი ეხება "ნებისმიერ უფლებას, რომელსაც პაქტი აღგენს", ანუ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პირდაპირი გამოყენება არ მოხდება. ეს პროცედურა გამოსადეგია მაშინ, როცა ადგილი აქვს ადამიანის უფლებების სერიოზულ და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დარღვევის შემთხვევებს, საგანგებო სიტუაციებისას.⁴⁴ ამ შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ზედამხედველობა. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა მსგავსი პროცედურები შესაძლებელს ხდის გადამოწმდეს თუ რამდენად არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეოთხე მუხლთან შესაბამისობაში მომჩივანის უფლების შეზღუდვა.⁴⁵ პროცედურა სრულდება კომიტეტის მიერ შეხედულების ჩამოყალიბებით,⁴⁶ რომელიც, პროცედურისადმი მინიჭებული საჯაროობის გამო, ზეწოლას ახდენს იმ სახელმწიფოზე, რომელმაც დაარღვია ადამიანის უფლებათა სამართალი (საჯარო დადანიშნულების ეფექტი). ეს ზეწოლა კიდევ უფრო ეფექტურია ადამიანის უფლებათა რეგიონალურ ხელშეკრულებებში, ვინაიდან ისინი სასამართლოს მსგავს სახეს ატარებენ. კიდევ უფრო საინტერესოა რეგიონალური სარჩელების პროცედურა, რადგან მათი განხორციელება ხდება ადამიანის უფლებათა სასამართლოების წინაშე, რომელთა გადაწყვეტილებაც სავალდებულოა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც მოქმედებდა ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელშეკრულებების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, ეს პროცედურები იმსახურებენ უფრო დეტალურ განხილვას.

მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად შეუძლია ადამიანის უფლებათა სამართლით გათვალისწინებულ პროცედურებს ჩაანაცვლოს არარსებული ინდივიდუალური სარჩელების პროცედურა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დადგევების მსხვერპლთათვის. აღსაღნიშნავია, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კუმულატიური და პირდაპირი გამოყენება უკვე აღიარებულია ინდივიდუალური სარჩელების ამ რეგიონალური პროცედურებით. ეს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მეტხუთმეტე მუხლის შინაარსის დამსახურებას, რომელიც აკონკრეტებს, რომ საგანგებო ზომები არ შეიძლება იყოს "შესაბამისობაში სახელმწიფოს სხვა ვადლებულებებთან, რომლებიც მას საერთაშორისო სამართლით ეკისრება". ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციაც მსგავს ფორმულირებას იზიარებს 27-ე მუხლში. პრაქტიკის მიმოხილვა უკეთ წარმოაჩენს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერ-ამერიკული სისტემა

თავდაპირველად, სადაო იყო, ამერიკის ადამიანის უფლებათა ორგანოების უფლებამოსილება გამოეყენებინა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გარკვეული ქმედებების ან/და ზომების კანონიერების საკითხის განხილვისას. პირველი შემთხვევა, როცა ამერიკის ადამიანის უფლებათა კომისიას მოუწია ამ

⁴⁴ იხილეთ ანა-ლენა სვენსონი-მაკკარტი, *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფოთა გამონაკლისი, კლუვერი, ჰააგა, 1998 წელი, გვერდები 392 და მომდევნო.*

⁴⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი A/57/40/ პარაგრაფი 31.

⁴⁶ რუდიგერ ვოლფრუმი, "ანგარიშგების სისტემები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით: ინფორმაციის შეგროვებიდან შესაბამისობის მხარდაჭერამდე", მაიკლ ბოთის წიგნში, ზემოთ მოცემული კომენტარი 38, გვერდი 25.

საკითხზე მუშაობა, იყო საქმე უნარშეზღუდული ადამიანები ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, რომელიც უკავშირდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციას გრენადაში 1987 წელს, სადაც ფსიქიატრიული კლინიკის 16 პაციენტი დაზარალდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებდა, რომ კომისია არ იყო უფლებამოსილი განეხილა შეუსაბამო ქმედების საკითხზე წამოჭრილი განცხადებები. ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, კომისიას არ ჰქონდა იურისდიქცია განეხილა ჟენევის მეოთხე კონვენციის მოქმედების საკითხი, ვინაიდან მისი მანდატი შემოიფარგლებოდა "ამერიკის ადამიანის უფლებათა და ვალდებულებათა დეკლარაციით განმტკიცებული უფლებების შეზღუდვის ან განხორციელების საკითხების განხილვით".⁴⁷ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციამ ფართო კრიტიკა გამოიწვია აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მხრიდან, ვინაიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები გამოიყენება საომარი ოპერაციების მიმართ.⁴⁸

მოგვიანებით, პრაქტიკამ დაამტკიცა ამ პოზიციის მართებულობა. ამ კუთხით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინტერ-ამერიკული კომისიის ანგარიში *ტაბლადას საქმეში*. ეს საქმე ეხებოდა 1997 წლის 30 ოქტომბერს 42 შეიარაღებული პირის მიერ განხორციელებულ თავდასხმას არგენტინის შეიარაღებული ძალების ლა ტაბლადას ყაზარმებზე. ოცდაათსაათიანი თავდასხმის შედეგად, 29 თავდასხმელი და უამრავი ჯარისკაცი დაიღუპა. გადარჩენილი თავდასხმელები დავობდნენ, რომ არგენტინამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კონვენცია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. კომისიამ განიხილა, თუ რამდენად იყო უფლებამოსილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პირდაპირ გამოყენებაზე და დაადგინა, რომ მას ჰქონდა ამის უფლებამოსილება. აკადემიური წრეების წარმომადგენლები განსაკუთრებით დიდი ყურადღებით მიუღვნენ ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ის ადგენდა, რომ საერთაშორისო ორგანო უფლებამოსილი იყო პირდაპირ გამოეყენებინა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულების ხელშემკერედი სახელმწიფოს მიმართ.⁴⁹ კომისიამ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება იმით დაასაბუთა, რომ ეს წარმოადგენდა ერთ-ერთ ფორმას შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციაში სამართლიანობის დადგენისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კონვენცია ფორმალურად გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ის არ შეიცავს დებულებებს ომის წარმოების მეთოდებზე და საშუალებებზე. იმისათვის, რომ დადგენილიყო რა წარმოადგენდა (აკრალულ) განზრახ სისცოცხლის მოსპობას ომის პირობებში, კომისია იძულებული გახდა მიემართა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის.⁵⁰

ამ კუთხით კომისიის არგუმენტი საკმაოდ ზუსტია: ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კონვენცია საკმარისი არ არის იმის დასადგენად, თუ ვინ არის უფლებამოსილი კანონიერად მიიღოს მონაწილეობა შეიარაღებულ მოქმედებებში და

⁴⁷ იხილეთ: <http://www.wcl.American.edu/pub/humanright/digest/Inter-American/app9213.htm>.

⁴⁸ იხილეთ დევიდ ვაისბროდტი და ბეთ ანდრუსი, "სიცოცხლის უფლება შეიარაღებული კონფლიქტების დროს: უნარშეზღუდული ადამიანები ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ", ჰარვარდის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ნომერი 1, 1998 წელი, გვერდი 59.

⁴⁹ ლისბეთ ზეგველი, "ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი: კომენტარი ტაბლადას საქმეზე", წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, ნომერი 324, 1998 წელი, გვ. 505.

⁵⁰ "... კომისიამ, თავის რეზოლუციაში, აუცილებლად უნდა მიმართოს დეფინიციური სტანდარტების და ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისი წესების გამოყენებას, როგორც ავტორიტეტულ სახელმძღვანელოს, ამ და სხვა სახის სარჩელებში ამერიკული კონვენციის დარღვევების შესახებ საომარ სიტუაციებში". საქმე 11.137, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, ნომერი 55/97. პარაგრაფი 161 (1997 წელი).

ვის შეუძლია განახორციელოს საზიანო აქტები. იმავედროულად, კონვენცია არც იმ დებულებებს შეიცავს, რომელიც დაავალებდა კომისიას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებას. კომისიამ თავისი მიდგომა შემდეგი საკითხებით დაასაბუთა:

- I. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენების თანხვედრა: სსენებული კონვენციის მიხედვით, სახემწიფოები ვალდებული არიან დაიცვან ის სტანდარტები, რომლებსაც ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლი ადგენს;
- II. 29(ბ) მუხლი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია იმ უფლებებით სარგებლობის ან განხორციელების შეზღუდვა, რომლებსაც სახელმწიფოს სხვა შეთანხმებები უწესებს;
- III. მუხლი 25, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს შესაბამისი სამართლებრივი საშუალებების გამოყენების უფლება მისი ძირითადი უფლებების დარღვევების შემთხვევაში;
- IV. მუხლი 27, რომელიც ადგენს, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებულმა შეზღუდვებმა ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას;
- V. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს ანგარიში, რომლის მიხედვითაც კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს ის ხელშეკრულებები, რომლებიც არ წარმოშობილა ინტერ-ამერიკული სისტემის ფარგლებში.⁵¹

ის მიზეზები, რომლებსაც კომისია წარმოგვიდგენს დამაჯერებლად გამოიყურება. მან ამ გზით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი პირდაპირი ფორმით გამოიყენა და არა როგორც უბრალოდ ინტერპრეტაციისათვის საჭირო საშუალება.

ლოს პალმერას საქმეში, ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ არ გაიზიარა კომისიის მოსაზრება,⁵² რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ ის არ იყო უფლებამოსილი პირდაპირ გამოიყენებინა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, კერძოდ კი ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლი. სასამართლოს აზრით, ის უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა ჟენევის კონვენციები მხოლოდ ადამიანის უფლებათა კონვენციის სწორი ინტერპრეტირებისთვის. შესაბამისად, ლოს პალმერას საქმეში, რომელიც კოლუმბიის პოლიციის მიერ ექვსი უიარაღო სამოქალაქო პირის სიკვდილით დასჯას შეეხებოდა, სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციამ "სასამართლოს მიანიჭა უფლებამოსილება გადაწყვიტოს არის თუ არა სახელმწიფოს ქმედებები შესაბამისობაში თავად კონვენციასთან და არა 1949 წლის ჟენევის კონვენციებთან".⁵³ მთავარ მიზეზს, რის გამოც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება უარყოფილ იქნა, წარმოადგენდა კოლუმბიის მთავრობის მიერ წამოყენებულ არგუმენტს, რომ ინტერ-ამერიკული კონვენციის ხელშემკრებმა სახელმწიფოებმა აღიარეს სასამართლოს იურისდიქცია მხოლოდ კონვენციაში მოცემული უფლებების მიმართ. სასამართლომ გაიზიარა ეს მოსაზრება და უარყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების შესაძლებლობა როგორც ჩვეულებითი სამართლისა ან როგორც *lex specialis*.

ამ გადაწყვეტილებამ სამართლებრივ ლიტერატურაში წარმოშვა კომენტარების შთამბეჭდავი რაოდენობა. ქ-მა მარტინმა შეისწავლა ისინი და დაადგინა, რომ მათ "თავდაყირა დააყენეს" ინტერ-ამერიკული კომისიის პოზიცია.⁵⁴ კლემენტმა და

⁵¹ საკონსულტაციო რჩევები, OC-1/82, 1982 წლის 24 სექტემბერი.

⁵² ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, ნომერი 67 (2000 წელი).

⁵³ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 53, პარაგრაფი 33.

⁵⁴ ფენი მარტინი, "საერთაშორისო სამართლის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება", წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, ნომერი 884, 2002 წელი, გვერდი 1066.

ზეგველდმაც მიიჩნიეს, რომ ეს გადაწყვეტილება ამტკიცებდა იმას, თუ რამდენად პრობლემატური იყო კომისიის მტკიცება იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი პირდაპირ არ გამოიყენებოდა. ავტორები აღნიშნავენ, რომ, ვინაიდან ასეთი სადავოა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება, საჭიროა ამ სამართლის დარღვევებისთვის ინდივიდუალური სარჩელების პროცედურის შემუშავება.⁵⁵ თუმცა, როგორც სასურველიც არ უნდა იყოს მსგავსი პროცედურა, უახლოეს მომავალში მისი იმპლემენტაცია ნაკლებად სავარაუდოა. იმისათვის, რომ ხაზი გაუვსვათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობას და აქტუალობას, მიზანშეწონილია მოვუწოდოთ ორგანოებს, რომლებიც იურისდიქციას ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებენ, რომ გზა გაიკვალონ იმავე გზით, როგორც კომისიამ ტაბლადას გადაწყვეტილებაში. ზვანგენბურგის მიხედვით, ასეთმა სასამართლოებმა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიძლება გამოიყენონ როგორც ავტორიტეტული სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ნორმებში.⁵⁶ ლოს პალმერას საქმეშიც კი სასამართლომ არ გამოიციხა ამის შესაძლებლობა, თუმცა არ გამოუყენებია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი პირდაპირი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის მხარეები შეთანხმდებიან, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი პირდაპირი ფორმით მოქმედებს, მაშინ ინტერ-ამერიკულ ორგანოებს შეიუძლიათ უზრუნველყონ შესაბამისობა სამართლის ამ დარგთან. საბოლოოდ დადგინდა, რომ არ არსებობს ახალი პროცედურების შემუშავების საჭიროება, არამედ საჭიროა უკვე არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის შემდგომი გავრცელება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საიმედოდ გამოიყურება ინტერ-ამერიკული სასამართლოს უკანასკნელი პრაქტიკა. კერძოდ, *ბამაკა-ველასკეზის*⁵⁷ საქმე მიესადაგება კლეფერისა და ზეგველდის კრიტიკას. ეს გადაწყვეტილება შეეხებოდა პარტიზან მებრძოლს, რომელიც გვატემალელი სამხედროს ხელში აღმოჩნდა ბრძოლის დროს და, რომელიც მათ მიერ ნაწამები და მოკლული იქნა. ამ საქმეში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება შესაძლებელი იყო, ვინაიდან გვატემალა და კომისია შეთანხმდნენ ინტერ-ამერიკული კონვენციის ინტერპრეტირებისას სამართლის ამ დარგის მოქმედებაზე და ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლის გამოყენებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის უკანონო შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად და ინტერპრეტირებისთვის, კონვენციის 29-ე მუხლი უშვებდა იმ ხელშეკრულებების გამოყენებას, რომელთა ხელშეკრველ მხარესაც გვატემალა წარმოადგენდა. სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ შიდა შეიარაღებული კონფლიქტის უდავო არსებობა იმას ნიშნავდა, რომ "ადამიანის უფლებათა დაცვისა და დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებებისგან სახელმწიფოს განთავისუფლების ნაცვლად, ეს ფაქტი მას ავალდებულებდა ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად მოქმედებას".⁵⁸ ეს გადაწყვეტილება ამტკიცებს ადამიანის უფლებათა სასამართლოების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პირდაპირ გამოყენებას.⁵⁹

⁵⁵ იან კ. კლეფერი და ლიზბეთ ზეგველდი, "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებისთვის ინდივიდუალური სარჩელის პროცედურების შექმნა", ჰორსტ ფიშერის გამოცემაში, საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური გამოცემა, 2000 წელი, ასერი, ჰააგა, 2002 წელი, გვ. 388.

⁵⁶ მარტენ ს. ზვანგენბურგი, *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით პასუხისმგებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციებში, პროფესორი, ლეიდენი, 2004 წელი გვ. 291.*

⁵⁷ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, ნომერი 70 (2000 წელი).

⁵⁸ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 58, პარაგრაფი 207.

⁵⁹ იხილეთ რიჩარდ ჯ. ვილსონი და ჟან პერლინი, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სისტემა: ქმედებები 200 წლის ბოლოდან 2002 წლის ოქტომბრამდე, ამერიკის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა, ნომერი 3, 2002 წელი, გვერდი 670.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეთხუთმეტე მუხლის მიხედვით, კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შემცირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან არის შესაბამისი. შესაბამისად, ის ვალდებულებები, რომლებსაც სახელმწიფოებს ჟენევის კონვენციები აკისრებს, აუცილებლად უნდა შესრულდეს. *ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეში*,⁶⁰ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ შეამოწმა, თუ რამდენად იყო გაერთიანებული სამეფოს მიერ მიღებული შეზღუდვა შესაბამისობაში მის საჯარო საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ ვალდებულებებთან. უფრო კონკრეტულად კი, სასამართლომ შეამოწმა, რამდენად იყო ჟენევის კონვენციებთან შესაბამისობაში ბრიტანული კანონმდებლობა ჩრდილოეთ ირლანდიაში. ვინაიდან ირლანდიურმა მხარემ ვერ წარმოადგინა დამატებითი ფაქტობრივი მტკიცებულებები, შემოწმება შემოიფარგლა იმ განცხადებით, რომ ჟენევის კონვენციები ასევე გამოიყენებოდა.⁶¹ ეს მაგალითი აშკარად ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში სრულიად შესაძლებელია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის მიმართვა.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ორგანოები, რომლებიც ამ კონვენციის საფუძველზე ფუნქციონირებენ, თავს იკავებენ ამ საკითხზე ცალსახა პოზიციის დაფიქსირებისგან. ფროვენმა ეს კომენტარი გააკეთა *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* საქმეში პირველი სარჩელის შესახებ, სადაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაუშვა სამხედრო ტყვეების მიმართ ჟენევის მესამე კონვენციის გამოყენება, მაგრამ, ამასთანავე მიიჩნია საჭიროდ იმის შემოწმება, ჰქონდა თუ არა ადგილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).⁶² ეს საეჭვო საკითხები ისევ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის საფუძველზე შექმნილი ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე უნდა განვიხილოთ.⁶³

საქმეში *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*⁶⁴ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არ გამოიყენა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, მიუხედავად იმისა, რომ საქმე შეეხებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევას, რომლებიც სამხედრო ოკუპაციის პირობებში წარმოიშვა: კვიპროსელი მოსარჩელე ვერ იყენებდა თავის საკუთრებას ჩრდილოეთ კვიპროსში 1974 წელს თურქეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ. 1989 წელს მან შეიტანა სარჩელი, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ სისტემატიური უარი, რომელსაც ის იღებდა თავისი საკუთრების გამოყენების მცდელობისას, არღვევდა მის უფლებას მშვიდობიანად გამოიყენებინა ქონება, რასაც მას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ანიჭებდა. საბოლოოდ, ევროპის ადამიანის უფლებათა

⁶⁰ იხილეთ დევიდ ჯ. ჰარისი, მიშელ ო ბოილი და კოლინ ბარბრიკი, *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი*, ბუთერვორთი, ლონდონი, 1995 წელი, გვერდები 489 და მომდევნო.

⁶¹ იხილეთ *ბრანინგონი და მაკბრიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სერიები A258-B, 1993 წლის 26 მაისი, პარაგრაფები 67-73.

⁶² იოჰან ა. ფროვეინი, "ურთიერთკავშირი ადამიანის უფლებათა რეჟიმებსა და სამხედრო ოკუპაციის რეჟიმებს შორის", ადამიანის უფლებათა ისრაელის ყოველწლიური გამოცემა. 1999 წელი, ნიჯიპოფი, შაბაგა, გვერდი 10.

⁶³ აისლინგ რეიდი, "ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიისა და სასამართლოს დამოკიდებულება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმართ", წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, ნომერი 324, 1998 წელი, გვერდი 519.

⁶⁴ საქმე *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*, განაცხადი ნომერი 15318/89, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარაგრაფი 43.

სასამართლომ გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ გამოიტანა და 1998 წლის 28 ივლისს გამოაცხადა გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 50-ე მუხლის შესაბამისად.

ამ საქმეში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა კისთვა, თუ ვინ იყო ჩრდილოეთ კვიპროსის სუვერენული ხელისუფლება, რადგან თურქეთი აცხადებდა, რომ ის არ უნდა ყოფილიყო ამ საქმეში მოპასუხე, და, რომ მოპასუხე უნდა ყოფილიყო "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა", დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც თავის ქმედებებზე საერთაშორისო სამართლის წინაშე იყო პასუხისმგებელი. თავის გადაწყვეტილებაში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ იურისდიქციის დეფინიცია, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი შეიცავდა, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ეროვნული იურისდიქციით. სუვერენიტეტის საკითხი უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან მისი შედეგები შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც ეროვნული ტერიტორიის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც. შესაბამისად, სახელმწიფოს შეეძლო სამხედრო ზომების საშუალებით განეხორციელებინა ეფექტური კონტროლი სხვა "წარმონაქმნზე", რომელიც მისი ეროვნული ტერიტორიის გარეთ მდებარეობდა, მიუხედავად იმისა თუ ვინ ახორციელებდა ამ კონტროლს, მისი სამხედრო ძალები თუ დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაცია.⁶⁵ ვინაიდან მოსარჩელე ვერ იყენებდა თავის ქონებას თურქეთის სამხედრო ძალების ოკუპაციის გამო, ეს ზომები თურქეთის იურისდიქციის ქვეშ ხვდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლის საფუძველზე.

იმავედროულად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აირიდა იმის დადგენა, რომ "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" შემთხვევა ეხებოდა ოკუპირებულ ტერიტორიას, რომლის მიმართაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ამას ხელი არ შეუღია სასამართლოსთვის, რომ მითითება გაეკეთებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს S/550/1984 რეზოლუციაზე, რომელიც ცალსახად საუბრობს "კვიპროსის რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის" შესახებ. რა თქმა უნდა, ეს შეუსაბამობა კომენტარების გარეშე არ დარჩენილა.⁶⁶ თავის განსხვავებულ მოსაზრებაში მოსამართლე პეტიტი ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ კვიპროსის ტერიტორიაზე თურქეთის შეჭრის საკითხი სათანადოდ არ იყო შესწავლილი. კერძოდ, არც ანექსაციასთან დაკავშირებული პრობლემები, არც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების საჭიროება არ ყოფილა განხილული.⁶⁷

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ გადაწყვეტილების დიდ ნაკლს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოსამართლეებმა აირიდეს "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" პრობლემური საკითხის წამოჭრა. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის 31 მუხლის 3(გ) პუნქტის შესაბამისად, რომ ეს ხელშეკრულება აღნიშნავს, რომ უნდა მოხდეს "საერთაშორისო სამართლის ყველა

⁶⁵ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 65, პარაგრაფი 49.

⁶⁶ საოცარია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, საქმეში *ილასკუ მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ*, მიუთითებს ოკუპაციაზე, განაცხადი ნომერი 48787/99, 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამონაკლის შემთხვევებში სახელმწიფომ შეიძლება ვერ განახორციელოს ხელისუფლება მის ტერიტორიაზე და განაგრძობს: "ეს შეიძლება იყოს შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული სამხედრო ოკუპაციის შედეგად...". მაგალითის სახით სასამართლომ ლიხიდუს საქმე მოიყვანა. (იხილეთ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 65), პარაგრაფი 312.

⁶⁷ ინდივიდუალური განსხვავებული მოსაზრება, სერია ა, ნომერი 310, გვერდები 43-44.

შესამაბისი ნორმის გათვალისწინება, რომლებიც მხარეებს შორის მოქმედებს",⁶⁸ ამისდა მიუხედავად მას არ გამოუყენებია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. სასამართლომ მხოლოდ ის დაადგინა იყო თუ არა თურქეთი პირველი მუხლის საფუძველზე პასუხისმგებელი ქ-ნ ლოიზიდუს მიერ წამოყენებულ ბრალდებაზე მისი უფლებების დარღვევის შესახებ, ამ ქალბატონის ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე არსებულ ქონებასთან დაკავშირებით. სასამართლოს არ განუხილავს აპლიკანტის მიერ წამოჭრილი საკითხი, იყო თუ არა ადგილობრივი ადმინისტრაცია უკანონო, როგორც ძალის უკანონო გამოყენების შედეგი ან იყო თუ არა კანონიერი. ეს საკითხი ოკუპაციის სამართალს უკავშირდება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში პასუხისმგებლობის დადგენა არ საჭიროებდა სამხედრო ოკუპაციის შესახებ მოკვლევას და განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალით გათვალისწინებული დაცვა "საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია". ამიტომ საჭირო იყო პრაგმატული განმარტების მოძებნა. ამისდა მიუხედავად, ჩნდება კითხვა, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი იგივე შედეგის მიღწევა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებით. ეს საკითხიც, რა თქმა უნდა, "საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია." ჟენევის მეოთხე კონვენციის გამოყენება იქნებოდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მატარებელი, ვინაიდან ჩრდილოეთ კვიპროსი ოკუპირებული ტერიტორიაა და ქ-ნი ლოიზიდუ, ხსენებული კონვენციის 49-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, იძულებული იყო დაეტოვებინა ოკუპირებული ტერიტორია, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა უსაფრთხოებითა და სამხედრო აუცილებლობით გამოწვეული საჭიროება ამ ქმედების განხორციელების გასამართლებლად. ეს ეწინააღმდეგება ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის პატივისცემის ვალდებულებას. ამიტომ, უცნაურია, რომ სასამართლომ არ გამოიყენა ეს მოსაზრება.

ჟენევის კონვენციების მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ამ კონვენციებით არიან შეზღუდულები მაშინაც კი, როცა მათი ქმედებები ცდება მათი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს. საქმეში *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*, გასაგებია, რომ სახელმწიფომ შეიძლება თავისი იურისდიქცია განახორციელოს მისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთაც. ეს კიდევ უფრო გასაკვირს ხდის იმ ფაქტს, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ვერ შეძლო "იურისდიქციის" ტერმინის უფრო ფართო ინტერპრეტაციის გაკეთება საქმეში⁶⁹ *ბანკოვიჩი ბელგიის წინააღმდეგ*.⁷⁰ იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის მოქალაქეთა ნათესავებმა, რომლებიც მოკლული იყვნენ ნატოს მიერ ბელგრადის სამაუწყებლო სადგურზე თავდასხმის შედეგად, სარჩელით მიმართეს სასამართლოს ნატოს წევრი რამდენიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. მოსარჩელები დავობდნენ, რომ თავდასხმამ დაარღვია სიცოცხლის უფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება და ეფექტური სამართლებრივი საშუალებების უფლება, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით იყო განმტკიცებული. ისინი, ამასთანავე, აფუძნებდნენ თავიანთ არგუმენტს სახელმწიფოთა ვალდებულებებზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, რომელსაც ისინი რელევანტურად მიიჩნევდნენ, ერთის მხრივ

⁶⁸ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 65, პარაგრაფი 43.

⁶⁹ საქმე *ბანკოვიჩი ბელგიის წინააღმდეგ*, განაცხადი ნომერი 52207/99, გადაწყვეტილება სქმის დაუშვებლობის შესახებ, 2001 წლის 12 დეკემბერი.

⁷⁰ ამ გადაწყვეტილების შესახებ კომენტარებისთვის მიმართეთ ფრანსისკო ფორესტ მარტინს "საუბრები შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის შესახებ: ერთიანი ძალის გამოყენების წესი – პროფესორი გრინისა და პაუსტის კომენტარების ფარგლებში", *სახკაჩევანის სამართლის მიმოხილვა*, ტ. 65, 2002 წელი, გვერდები 462-467; ბერნჰარდ შაფერი, "Der Fall Bankovic oder wie eine Lücke geschaffen wird", ადამიანის უფლებათა ჟურნალი, ტ. 3, 2002, გვერდები 149-163

იმის გამო, რომ ნატოს სახელმწიფოები უნევის კონვენციების და პირველი დამატებითი ოქმის ხელშემკვრელები იყვნენ, მეორეს მხრივ, იმიტომ რომ ეს წესები ატარებდა ჩვეულებით ხასიათს. სასამართლომ საერთოდ არ განიხილა არგუმენტი, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შეეხებოდა და კონცენტრირება მოახდინა მხოლოდ ტერმინის "იურისდიქცია" შეზღუდულ დეფინიციაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ იურისდიქცია საერთაშორისო სამართალში ექსკლუზიურად ტერიტორიულია⁷¹ და რომ იურისდიქციის სხვა საფუძვლები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ "გამონაკლისის სახით". ბანკოვიჩის სარჩელი მიხნეული იყო დაუშვებლად. შელტონი მიიხნევს, რომ იურისდიქციის ასეთი ვიწრო ხედვა გასაგებია, რადგან სასამართლო ცდილობდა "შეემცირებინა მისი იურისდიქცია და გამოერიცხა მისი ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამხედრო ოპერაციების ექსტრა-ტერიტორიული ხასიათი."⁷² მიუხედავად ამისა, *ლოზიდუს* საქმის ჭრილში, ეს ინტერპრეტაცია ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ საქმეში *ილასკუ მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ ორივე სახელმწიფო მიიხნია პასუხისმგებლად დნეპრისპირეთში ადამიანის უფლებების დარღვევებზე.⁷³

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებიც არსებობს, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს უკავშირდება. თურქეთის ქურთულ ტერიტორიებზე სამხედრო ოპერაციებმა გამოიწვია უამრავი შემთხვევა სამოქალაქო მოსახლეობას შორის და უდიდესი მატერიალური ზიანი, რის შედეგადაც უამრავი საქმე წარადგინეს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ორგანოების წინაშე. აღნიშნულმა საქმეებმა აშკარად წარმოაჩინეს საერთაშორისო იურისდიქციის საზღვრები, რომელიც გამოიყენება მარტო მაშინ, როცა ამოწურულია ყველა ადგილობრივი ზომა და მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ეხება ინდივიდუალური ადამიანის უფლებების დარღვევების რეპარაციას.⁷⁴ ფაქტიურად ეს პროცედურები არაა საკმარისი ეფექტური ზომების მისაღებად ადამიანის უფლებათა ფართემასშტაბიანი დარღვევების შემთხვევაში.

ამასთანავე, ამ უკანასკნელს აშკარად მხოლოდ ინდივიდუალური განზომილება აქვს. საქმე *ერგი თურქეთის წინააღმდეგ*⁷⁵ შეეხებოდა იმ ქალის შემთხვევით მკვლელობას, რომელიც სამხედრო ოპერაციაში არ მონაწილეობდა. საქმის გარემოებების შემოწმების შემდეგ, სასამართლომ დაადასტურა ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის მოსაზრება, რომელმაც მიიხნია, რომ ასეთი ოპერაციის დაგეგმვისა და შესრულებისას გაფრთხილება საჭირო არა მხოლოდ პირდაპირი მიზნის მიმართ, არამედ, განსაკუთრებით სამოქალაქო მოსახლეობისთვის საშიშ გარემოში ქალის გამოყენებისას, სხვა პირების შემთხვევითი დაზიანების ან დაღუპვის თავიდან აცილებისთვისაც. ამ სტანდარტების მიხედვით, კომისიამ დაადგინა, რომ ზემოთ ხსენებული ოპერაცია არ იყო საკმარისი სიფრთხილით დაგეგმილი, რათა თავიდან ეცილებინა სამოქალაქო მოსახლეობას შორის მსხვერპლი და კონფლიქტის გავრცელება.

⁷¹ იხილეთ ასევე "პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგები", *ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 9*, პარაგრაფი 109.

⁷² დინა შელტონი, "ევროპაში ადამიანის უფლებათა იურისდიქციის საზღვრები", *დიუკის საერთაშორისო სამართლისა და შედარებითი სამართლის ჟურნალი*, ნომერი 1, 2003, გვერდი 128.

⁷³ იხილეთ ზემოთ მოყვანილი კომენტარი ნომერი 67.

⁷⁴ იხილეთ ასევე, აისლინგ რეიდი, ფრანსისკო ჰამპსონი და კევინ ბოილი, "ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები: თურქეთის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება," *ნიდერლანდების ადამიანის უფლებათა გამოცემა*, 1997 წელი, გვერდი 161.

⁷⁵ საქმე *ერგი თურქეთის წინააღმდეგ*, განაცხადი ნომერი 23818/93, 1998 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება.

თავის გადაწყვეტილებაში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ "ვერ მიიღო ყველა შესაძლო ზომა, რათა ოპერაციის ფარგლებში აცილებული ყოფილიყო ან მინიმუმამდე დაყვანილიყო სამოქალაქო სიცოცხლის შემთხვევითი მსხვერპლი".⁷⁶ აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა შელახვის შესაძლო ფაქტების დადგენისთვის სასამართლომ გამოიყენა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ტერმინები, მაგალითად "სამოქალაქო სიცოცხლე" და "შემთხვევითი მსხვერპლი". ერთის მხრივ, ეს ამტკიცებს სამართლის ამ ორი ტექსტის კუმულატიურ გამოყენებას. მეორეს მხრივ, ის ასევე ადასტურებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის *lex specialis*, კერძოდ სავალდებულო სამართალი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რომელიც მიზნად ისახავს საომარი მოქმედებების რეგულირებას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მსგავსად, როცა ის განიხილავდა ბირთვული იარაღის კანონიერების საკითხს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომაც ვერ შეძლო აერიდებინა იარაღის სისტემების შესაბამისობა როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან, ისე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან; ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ასევე მოუწია შეემოწმებინა ქურთულ ტერიტორიაზე თურქული უშიშროების სამსახურის მიერ მიღებული ზომების საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან შესაბამისობა, ვინაიდან ის საუბრობს სამიზნის კანონიერებაზე, თავდასხმის პროპორციულობაზე და იმაზე, თუ რამდენად იყო სამხედრო უპირატესობის პროპორციული შესაძლო სამოქალაქო მსხვერპლი. მხოლოდ ამ ჩამოთვლილი საკითხებიდანაც აშკარაა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა სამართლის იმპლემენტაციისთვის.

საქმეში *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ*,⁷⁷ რომელიც შეეხებოდა პროტესტის გამომხატველი დემონსტრატორების მიმართ ტანკიდან ცეცხლის გახსნას და რომლის დროსაც მთავარი მოსარჩელის შვილი სასიკვდილოდ დაიჭრა, სასამართლომ განიხილა, თუ რამდენად არის ნებარდართული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 2.2(გ) მუხლით ძალის გამოყენება. სასამართლომ დაადგინა, რომ გამოყენებული ძალა უნდა იყოს დასახული მიზნისა და გამოყენებული საშუალებების პროპორციული. ამ საქმეში, შეიარაღებულმა ძალებმა აშკარად არასწორად შეაფასეს სიტუაცია, რადგან მათ გამოიყენეს საბრძოლო იარაღი, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნდათ საჭირო აღჭურვილობა (წყლის ზარბაზნები, დამცავი ფარები, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი), იმისათვის, რომ დემონსტრანტებს შებრძოლებდნენ. ეს კიდევ უფრო გასაკიცხი იყო იმის გათვალისწინებით, რომ სირნაკის პროვინცია მდებარეობდა იმ ზონაში, სადაც საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული და საზოგადოებრივი არეულობები სრულიად მოსალოდნელი იყო. მთავრობამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მის განცხადებას, რომ პროტესტანტებს შორის ტერორისტები იყვნენ. ძალის მასიური გამოყენება, რომელმაც გულეკის სიკვდილი გამოიწვია, არ ჩაითვალა მეორე მუხლით განსაზღვრულ აბსოლუტურ აუცილებლობად. შესაბამისად, თურქეთი მიიჩნეეს დამნაშავედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევაში.

სასამართლოს დასაბუთება კიდევ ერთხელ ააშკარავებს პარალელებს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან. დავიწყოთ იმ ფაქტით, რომ საგანგებო

⁷⁶ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 75, პარაგრაფი 79.

⁷⁷ საქმე *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ*, განაცხადი ნომერი 21593/93, 1998 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება.

მდგომარეობა გამოცხადებული იყო და საზოგადოებრივი არეულობები მოსალოდნელი იყო ამ დროისთვის.⁷⁸ ასეთი სიტუაციები, როგორც სასამართლომ აღნიშნა, მიუთითებდა განათლებისა და აღჭურვილობის ნაკლებობაზე, ასევე შეიარაღებული ძალების არასათანადო "წართულობის წესებზე". საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ დიდი რაოდენობით მსხვერპლი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში გამოწვეული იყო "უსაფრთხოების სიტუაციით", ამასთანავე, ხშირი შეიარაღებული დაპირისპირება არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლის შესრულების ვალდებულებისაგან.⁷⁹ განხილული საქმე ამტკიცებს, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოების პრაქტიკაში მნიშვნელოვანი თანხვედრაა ადამიანის უფლებათა სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის. აღსანიშნავია, რომ 2(2)(გ) მუხლით გათვალისწინებულ საგანგებო სიტუაციებში ან საომარ ვითარებაში ძალის გამოყენება დასაშვებია, თუ სახელმწიფო ამ ზომებს იყენებს აჯანყების ჩასახშობად. ეს ძალის ისეთი ფორმით გამოყენებასაც გულისხმობს, რომელიც სიკვდილს გამოიწვევს. გარდა იმისა, რომ ეს მუხლი "წარუმატებლადაა ფორმულირებული,"⁸⁰ მაინც ჩნდება კითხვა თუ რა გარემოებებშია დასაშვები ძალის გამოყენება.

ზემოთ განხილული სასამართლო საქმეები გვიჩვენებს, რომ შეზღუდვები ძალის გამოყენებაში ბევრად უფრო თავისუფალია ადამიანის უფლებათა სამართალში, ვიდრე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში. ძალის გამოყენების ხარისხის შეფასებისას, სტრასბურგის ორგანოებს უფრო გაუადვილებოდათ თუ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კრიტერიუმებს გამოიყენებდნენ, განსაკუთრებით პროპორციულობის და განსხვავების პრინციპის, ასევე სისხლის სამართალში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ სიტუაციებს ადგილი ჰქონდა შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში, ანუ იმ გარემოებებში, რომლისთვისაც ადამიანის უფლებათა სამართალს არ გააჩნია გამზადებული კრიტერიუმები ძალის გამოყენების კანონიერების შესახებ. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გათვალისწინება ავტომატურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ამის შედეგად, უნდა დავეთანხმოთ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მომავალში გამოყენების" შეზღუდული პოტენციალი გააჩნია.⁸¹

საქმე *ენგელი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, რომელშიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პირდაპირი ფორმით მიუთითა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე, იმის მანიშნებელია, რომ არ არსებობს სამართლებრივი წინააღმდეგობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პირდაპირი გამოყენებისთვის.⁸² ეს საქმე შეეხებოდა სხვადასხვა სამხედრო რანგების დისციპლინურ სასჯელებში განსხვავებას. აკადემიურ წრეებში დადებითი გამოსმაურება ჰპოვა ენგელის პირველი კონვენციის მეორე მუხლის გამოყენებამ,

⁷⁸ ამ გარემოებებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეიარაღებულ მოქმედებებს შეიძლება მიეღწია საერთო მესამე მუხლით დადგენილი ზღვრისთვის, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველაზე დაბალი ზღვარია. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს დაეწყოთ მოქმედება.

⁷⁹ იხილეთ ზემოთ მოცემული კომენტარი ნომერი 77, პარაგრაფი 71 და მომდევნო.

⁸⁰ იოჰან ფროგენი და ვოლფგანგ პეუკერტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის კომენტარი, ენგელი, კელი, 1996 წელი, გვ. 34.

⁸¹ ანდრეას ლაურსენი, "ნატო, კოსოვოს ომი, და ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის გამოძიებელი", ამერიკის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა, ნომერი 4, 2002 წელი, გვერდი 804.

⁸² საქმე *ენგელი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, განაცხადი ნომერი 5370/72, 1976 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ვინაიდან ეს ხელშეკრულება "ასე ფართოდ" მიღებულია.⁸³ ხსენებული საქმიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გვერდს უვლის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებას მხოლოდ პოლიტიკურ საფუძველზე.

დასკვნა

როგორც კვლევამ გვიჩვენა, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ დაცვას შორის თანხვედრა არსებობს. სამართლის ორივე დარგი გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტების დროს და მიზნად ისახავს მარტენსის წესის ფარგლებში მაქსიმალურად ფართო დაცვის უზრუნველყოფას. ამის ყველაზე პრაქტიკულ შედეგს წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ვინაიდან, ამ სამართლით გათვალისწინებული არ არის საიმპლემენტაციო მექანიზმები, და სახელმწიფოთა ანგარიშგებისა და ინდივიდუალური სარჩელების პროცედურის შემუშავება უახლოს მომავალში მოსალოდნელი არ არის, ადამიანის უფლებათა პროცედურების მნიშვნელობა იზრდება. თავდაპირველი მოკრძალებული გადაწყვეტილებები, რომლებშიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება მოხდა, აჩვენებს, რომ: "მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოების პრაქტიკა, რომელიც ზემოთ იქნა განხილული, ჯერ-ჯერობით მცირეა, ეს მაინც წარმოადგენს მისასაღმებელ დამატებას იმ მცირე საერთაშორისო საშუალებებზე, რომლითაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ ხდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფა."⁸⁴ ეს აშკარად ახდენს დემონსტრირებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანხვედრის პრაქტიკული და სასარგებლო შედეგებისა.

⁸³ იხილეთ ჯონ გ. მერილისი, *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარება, მეორე გამოცემა, მანჩესტერის უნივერსიტეტის გამოცემა, მანჩესტერი, 1993 წელი, გვერდი 225.*

⁸⁴ ფრიტზ კალშოვენი და ლიზბეთ ზეგველდი, *ომის წარმოების შეზღუდვები*, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ქენევა, 2001 წელი, გვერდი 201.